საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორებო, კლასის დამრიგებლებო, სიამოვნებით მოგესალმებით !!!

თითოეულ თქვენგანს, წლების განმავლობაში, მრავალჯერ პირადად შევხვედრივარ, თქვენი აბსოლუტური უმრავლესობა ჩემი თანამოაზრე და პირადი მეგობარია . . . დარწმუნებული ვარ, ჩემს ნააზრევს და სიტყვებს ზუსტად გაიგებთ და შედეგსაც უმოკლეს დროში მივაღწევთ . . .

– თითოეულ თქვენგანს, წლების განმავლობაში, მრავალჯერ პირადად შევხვედრივარ და მოსწავლეებში „ეფექტური განათლების“ დამკვიდრებისა და მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე არაერთხელ გვისაუბრია . . . **თქვენი აბსოლუტური უმრავლესობა ჩემი თანამოაზრე და პირადი მეგობარია . . .**

ამჯერად ურთიერთობის ასეთი თანამედროვე და ღია ფორმა შევარჩიე, რადგან, დარწმუნებული ვარ, ჩემს ნააზრევს და სიტყვებს ზუსტად გაიგებთ . . . ამასთან, თქვენს მენეჯერულ თვისებებშიც ღრმად დარწმუნებული ვარ და მტკიცედ მჯერა, რომ სწრაფი ქმედებებით შედეგებსაც დროულად მივაღწევთ . . .

დირექტორებთან ერთად, საქართველოს საჯარო სკოლების I, II, III, IV, V, VI და ა.შ. – XII კლასის ჩათვლით ყველა კლასის დამრიგებელს განსაკუთრებული პატივისცემით მივმართავ, გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენი პროფესიონალიზმი და ავტორიტეტი და თქვენივე კლასის თითოეული მოსწავლის მშობელი და ოჯახი სასწრაფოდ ჩართოთ მათივე შვილის აღზრდა-განათლების უთანამედროვეს პროცესში . . .

განსაკუთრებით კი: ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქედას, ხელვაჩაურის და ქობულეთის სკოლებს, კლასის დამრიგებლებს და დირექტორებს მივმართავ, რადგან აჭარის მთავრობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ახლა აჭარის საგანმანათლებლო სივრცეს მთელი საქართველო იმედის თვალით უყურებს და აკვირდება ! ! ! თქვენ ეს შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ ! ! !

ახლა, კი კონკრეტიკაზე გადავიდეთ . . .

დღეს საქართველოს მოსწავლეებში „ეფექტური განათლების“ დამკვიდრებისა და მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბების ისტორიული აუცილებლობა დადგა . . . მაღალტექნოლოგიური ინტერნეტ პლატფორმა IZRUNE.GE ამის საშუალებას იძლევა, თუმცა, „ეფექტური განათლების“ დამკვიდრება და მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბება მოსწავლეთა მშობლებისა და ოჯახების აქტიური ჩართულობის გარეშე შეუძლებელია ! ! !

ამასთან, გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მშობლებისა და ოჯახების აქტიური ჩართულობა მათივე შვილების აღზრდა-განათლების უწყვეტ პროცესში, კლასის დამრიგებლების გარეშე შეუძლებელი და არაეფექტურია ! ! !

ამიტომაც, სკოლის დირექტორებო და განსაკუთრებით კლასის დამრიგებლებო მოგმართავთ თხოვნით: <u>სასწრაფოდ</u> დაარეგისტრიროთ და <u>რაც მთავარია,</u>

<u>**გააქტიუროთ**</u>, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, <u>**რაც მთავარია, გააააქტიუროთ**</u>, გააააქტიურეთ თქვენი კლასის მოსწავლეები IZRUNE.GE-ზე ! ! !

კარგად მესმის, რომ ზოგჯერ ეს რთულია, თუმცა საბოლოოდ დაძლევადი და გარდაუვლად აუცილებელი პროცესია !!! ეს პროცესი სამ მთავარ მიზანს ემსახურება:

I. მოსწავლეთა მშობლების ან/და ოჯახის წევრების, საყოველთაო და აქტიურ ჩართულობას მათივე შვილების აღზრდა-განათლების თანამედროვე პროცესში, – ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში სკოლის მოღვაწეობისა და ეფექტურობის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი, სწორედ მშობლების ჩართულობის დათვლადი შეფასება გახდება;

II. მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიების შეტანა ყველა სკოლის თითოეულ კლასში, – რაც, ახლო მომავალში კლასის დამრიგებლის ეფექტური საქმიანობის ხელშესახები და დანახვად-დაფასებადი კრიტერიუმი იქნება;

III. თითოეულ მოსწავლეს ექმნება ინდივიდუალური განვითარების საშუალება და სახელმწიფოებრივი ყურადღება და მხარდაჭერაც ინდივიდუალურად ექნება ! ! !

სწორედ ამის მაგალითს იძლევა აჭარის მთავრობა და დარწმუნებული ვარ, **ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქედას, ხელვაჩაურის და ქობულეთის სკოლები, სკოლის დირექტორები და განსაკუთრებით კლასის დამრიგებლები, ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ამოცანას თავს წარმატებით გაართმევენ და მათ მთელი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე მიბაძავს ! ! !**

დრო ცოტა დაგვრჩა, ამიტომაც სწრაფი ქმედებებია საჭირო . . .

ტრადიციულად, ხუთშაბათობით, 17 ოქტომბერს და 24 ოქტომბერს IZRUNE.GE-ზე სავარჯიშო ტესტების დღე იქნება, რაც საშუალებას მოგცემთ მოემზადოთ 2019 წლის ოქტომბრის თვის გადამწყვეტი დღისთვის – 27 ოქტომბრისთვის !!!

დიახ, 2019 წლის ოქტომბრის ბოლო კვირა დღე 27 ოქტომბერი – „შვილებზე განსაკუთრებულად ზრუნვის დღე“ იქნება ! ! !

IZRUNE.GE-ში ჩართულობის ბოლომდე გასააზრებლად, მოსწავლეების მშობლებისა და ოჯახის წევრებისადმი ჩემი პირადი მიმართვა მოვამზადე და კლასის დამრიგებლებს გთხოვთ, ეს მიმართვა თითოეულ მშობელს პირადად თქვენ <u>სწრაფად</u> მიაწოდოთ !!!

მოსწავლეების მშობლებისა და ოჯახის წევრებისადმი ჩემს პირად მიმართვას სკოლის დირექტორების საშუალებით, ყველა კლასის დამრიგებელს მოგაწვდით !!!

თქვენი დიდი იმედი მაქვს !!!

განათლება და ღირსება – ბედნიერება ყველას სჭირდება ! ! !

თქვენი **გოჩა ტყეშელაშვილი**